

# საქართველო 2018



## ბავშვთა ნუტრიციული სტატუსი

მრავალინდიკატორული  
კლასტერული კვლევა

ნუტრიციული სტატუსის შესაფასებელი ანთროპომეტრული მაჩვენებლები



### სიმაღლეში ჩამორჩენა: SDG 2.2.1




**სიმაღლეში ჩამორჩენა** ეხება ბავშვს, რომელიც თავის ასაკთან შედარებით ძალიან დაბალია. სიმაღლეში ჩამორჩენა ნიშნავს რომ ბავშვი არ იზრდება ფიზიკურად და გონებრივად და ეს განპირობებულია ქრონიკული, ან განმეორებითი ხსიათის მალნუტრიციით.



### ჭარბწონიანობა: SDG 2.2.2



**ჭარბწონიანობა** ეხება იმ ბავშვს, რომელიც სიმაღლესთან შედარებით არის ძალიან მძიმე წონის. მალნუტრიციის ეს ფორმა განპირობებულია საკვებიდან და სასმელიდან მიღებულ კალორიების რაოდენობასთან შედარებით უფრო მცირე კალორიების დახარჯვით და იგი ზრდის ბავშვებში არაგადამდები დაავადებებს შექმნის რისკს ცხოვრების მოგვიანებით ეტაპზე.



### გამოფიტვა: SDG 2.2.2




**გამოფიტვა** ეხება იმ ბავშვს, რომელიც ძალიან გამხდარია მის სიმაღლესთან შედარებით. გამოფიტვა, ანუ კვების მწვევე დეფიციტი, განპირობებულია ბოლო დროს წონაში სწრაფი კლებით, ან წონაში მოუმატებლობით. ბავშვი, რომელსაც აქვს ზომიერად ან მწვევედ გამოხატული გამოფიტვა, სიკვდილის გაზრდილი რისკის წინაშე დგას, მაგრამ მისი მკურნალობა შესაძლებელია.




### დაბალი წონა



**დაბალი წონა** არის არასრულფასოვანი კვების შედეგით ფორმა და შეიძლება მოიცავდეს სიმაღლეში ჩამორჩენას და გამოფიტვის კომპონენტებს (ე.ი. დაბალი წონის მქონე ბავშვს შესაძლოა ასაკთან შედარებით ნაკლები წონა ჰქონდეს იმის გამო, რომ ასაკთან შედარებით ძალიან დაბალი სიმაღლე აქვს და/ან თავის სიმაღლესთან შედარებით ძალიან გამხდარია).



### ანთროპომეტრული ინდიკატორები ასაკის მიხედვით




ბავშვების პროცენტი, რომლებიც განიცდიან დაბალ წონას, სიმაღლეში ჩამორჩენას, გამოფიტვას და ჭარბწონიანობას, თვეებში ასაკის მიხედვით

### საკვანძო გზავნილები

- საქართველოში 5 წლამდე ბავშვების 6% აქვს ჭარბი წონა, ბავშვების 1%-ს აღენიშნება წონაში ზომიერად ან მკვეთრად გამოხატული გამოფიტვა, 6% ზომიერად ან მკვეთრად ჩამორჩენა სიმაღლეში, ხოლო ბავშვების 2%-ს აქვს ზომიერად ან მკვეთრად გამოხატული წონის დეფიციტი.
- ასაკობრივ ჭრილში მალნუტრიციის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბავშვების ყველაზე დიდი წილი (10%), რომელთაც აქვთ ჭარბი წონა, 12-17 თვის ასაკის ბავშვები არიან. ბავშვების ყველაზე დიდი წილი (5%), რომლებსაც აქვთ წონის დეფიციტი და გამოფიტვა არიან 0-5 თვის ასაკის. ბავშვების სიმაღლეში ჩამორჩენის პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (8%) 24-35 თვის ასაკის ბავშვებში.
- ანთროპომეტრული მალნუტრიცია ბავშვის დედის განათლების დონესთან უარყოფით კორელაციაშია. სიმაღლეში ჩამორჩენა ყველაზე მაღალია, როდესაც დედას მიღებული აქვს დაწყებითი ან არასრული საშუალო (საბაზო) განათლება (14%) და ყველაზე დაბალია, როდესაც დედას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (4%).


# ბავშვთა ნუტრიციული სტატუსი: ძირითადი მახასიათებლები

## სიმაღლეში ჩამორჩენა: SDG 2.2.1



ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც განიცდიან სიმაღლეში ჩამორჩენას, ძირითადი მახასიათებლების მიხედვით

## ჭარბწონიანობა: SDG 2.2.2



ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც განიცდიან ჭარბწონიანობას, ძირითადი მახასიათებლების მიხედვით

## რეგიონული მონაცემები სიმაღლეში ჩამორჩენის, ჭარბწონიანობის, გამოფიტვისა და დაბალი წონის შესახებ

	სიმაღლეში ჩამორჩენა: SDG 2.2.1	ჭარბწონიანობა: SDG 2.2.2	გამოფიტვა: SDG 2.2.2	დაბალი წონა
	% სიმაღლეში ჩამორჩენა (ზომიერი და მწვავე)	% ჭარბწონიანობა (ზომიერი და მწვავე)	% გამოფიტვა (ზომიერი და მწვავე)	% დაბალი წონა (ზომიერი და მწვავე)
საქართველო	6	6	<1	2
თბილისი	4	4	1	2
აჭარის ა.რ.	9	3	0	6
გურია	3	11	0	1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5	15	0	<1
კახეთი	9	5	1	4
მცხეთა-მთიანეთი	7	7	<1	2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5	6	1	2
სამცხე-ჯავახეთი	6	6	0	3
ქვემო ქართლი	7	4	0	<1
შიდა ქართლი	6	8	<1	1

ინდიკატორების განმარტებებისთვის, იხილეთ ზემოთ მოცემული გრაფიკები

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS-ის, UNDP-ისა და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანაა მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით დადგენილი ცალკეული ფაქტების გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია ბავშვების არასაკმარის კვებასთან. ამ მოკლე აღწერილობის დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში TC. 8.1.

დამატებითი სტატისტიკური მოკლე აღწერილობები და „კვლევის შედეგების ანგარიში“ ამ და სხვა კვლევებისათვის განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: [mics.unicef.org/surveys](https://mics.unicef.org/surveys).